

თპუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა

სხდომა №1

თბილისი

28 ივნისი, 2008 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორი კახი ყურაშვილი, პროფესორი ვიოლეტა გეწაძე, ასოც. პროფესორი თამარ ალფაიძე და ასისტენტი-პროფესორები ანასტასია აბაიაძე და გიორგი თუმანიშვილი

სხდომის თავჯდომარე :

პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი:

ასისტენტი-პროფესორი ანასტასია აბაიაძე

დღის წესრიგი:

თპუ სამართლის ფაკულტეტის შიდასაუნივერსიტეტო საატესტაციო გამოცდაზე არ გამოცხადებულ, ანდაშვებულ და ჩაჭრილ სტუდენტთათვის დამატებითი გამოცდის დანიშვნის საკითხი.

მოისმინეს:

თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომელმაც განაცხადა რომ სამართლის ფაკულტეტის დამამთავრებელი მერვე სემესტრის სტუდენტი ირაკლი კახიძე, იაგუბოვი რომან და მეხრალიევი შახადატი არ იქნენ დაშვებულნი შიდასაუნივერსიტეტო საატესტაციო გამოცდაზე მიმდინარე სემესტრული საგამოცდო საგნების ჩაუბარებლობის და საბაკალავრო ნაშრომის წარმოუდგენლობის გამო. ორმა სტუდენტმა, სტანისლავ მახალოვმა და კონსტანტინე მაზმიშვილმა დაიმსახურეს სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასება, ხოლო სტუდენტი ლევან ხარბედია არ გამოცხადდა გამოცდაზე. პროფესორმა კახი ყურაშვილმა დააყენა განსახილველად საგამოცდო კომისიის (შემადგენლობა: პროფ. ვ. ყურაშვილი, ასისტ. პროფ. გ. თუმანიშვილი, უფ. მასწავლებელი ლ. მახარაშვილი) შუამდგომლობა, რომ დაენიშნოთ ზემოაღნიშნულ სტუდენტებს დამატებითი გამოცდა.

აზრი გამოთქვეს : ასოც. პროფესორმა თამარ ალფაიძემ, პროფესორმა ვ. გეწაძემ. მათ მიზანშეწოლილად მიიჩნიეს თპუ სამართლის ფაკულტეტის შიდასაუნივერსიტეტო საატესტაციო კომისიის შუამდგომლობის დაკმაყოფილება სათანადო სასწავლო დავალიანებების აღმოფხვრის შემდეგ.

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას თპუ სამართლის ფაკულტეტის შიდასაუნივერსიტეტო საატესტაციო საგამოცდო კომისიის შუამდგომლობა დამატებითი შიდასაუნივერსიტეტო კრებისთი გამოცდის დანიშვნის თაობაზე;
2. დაინიშნოს დამატებითი შიდასაუნივერსიტეტო კრებისთი გამოცდა მიმდინარე წლის 12 ივლისს 16.00 საათზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარე

კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი:

ა. აბაიაძე

